

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მთარგმნელობითი სარედაქციო კომისიის დებულება

მთარგმნელობითი სარედაქციო კომისია (შემდგომში მსკ) არის კოლეგიალური ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები.

მსკ-ს დანიშნულება არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო და მთარგმნელობითი საქმიანობის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება ორი ძირითადი მიმართულებით: ა) გამოსაცემ თარგმანთა ხარისხის კონტროლი; ბ) მთარგმნელობითი საქმიანობის კოორდინაცია.

თარგმანთა ხარისხის კონტროლი.

მსკ ირჩევს და უნივერსიტეტის წინაშე რეკომენდაციას უწევს გამოსაცემად წარდგენილი თარგმანების რეცენზენტებსა და სამეცნიერო რედაქტორებს.

ასევე მსკ ირჩევს და უნივერსიტეტის წინაშე რეკომენდაციას უწევს სათარგმნად გათვალისწინებული წიგნების მთარგმნელებს.

მსკ განსაზღვრავს ტექსტის ქართული ვერსიისთვის სათანადო სამეცნიერო აპარატის დართვის აუცილებლობას და ირჩევს ამგვარი აპარატის უზრუნველსაყოფად შესაბამის პირს ან პირებს.

მთარგმნელობითი საქმიანობის კოორდინაცია.

მსკ განიხილავს ფაკულტეტებიდან, ინსტიტუტებიდან ან ცალკეული პირებისგან მიღებულ განაცხადებს ლიტერატურის თარგმანის შესახებ.

მსკ თვითონ ადგენს სათარგმნად მიზანშეწონილი ლიტერატურის სიას და შეიმუშავებს გამოსაცემი სერიების კონცეფციებს.

მსკ წარმართავს თარგმანების დასაფინანსებლად ფონდების მოძიებას, აქვეყნებს ინფორმაციას კონკურსების შესახებ და ა. შ.

რექტორის ან აკადემიური საბჭოს მიმართვის შემთხვევაში, მსკ განიხილავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლობის მიერ სხვა ტიპის პუბლიკაციების (არაკადემიური ლიტერატურა, მაგ., მხატვრული) გამოცემის საკითხებსაც.

მსკ-ს შემადგენლობაში შედიან:

თავმჯდომარე: ნოდარ ლადარია

წევრები: გია ნოდია

მაია როგავა

ნინო დობორჯგინიძე

დავით თარხნიშვილი

რეზო მარსაგიშვილი

ნინო მატარაძე

პაატა ჩხეიძე

მსკ გადაწყვეტილებებს იღებს საგანგებოდ მოწვეულ სხდომებზე კონსენსუსის სახით.